Asiye Genç v, Turkey

საჩივარი N 24109/07

მუხლი 2

პოზიტიური ვალდებულება

ეფექტური გამოძიება

ფაქტები: 2005 წლის 31 მარტს, მომჩივანს ნაადრევი მშობიარობა ჰქონდა, მას საკეისრო კვეთა ჩაუტარდა სახელმწიფო საავადმყოფოში. მალევე, პატარას დაეწყო სუნთქვის პრობლემები. ვინაიდან, საავადმყოფოში არ არსებობდა ახალშობილთა შესაბამისი განყოფილება, ექიმებმა გადაწყვიტეს ბავშვი გადაეყვანათ სხვა საავადმყოფოში, რომელიც მდებარეობდა 110 კმ-ის მოშორებით.

2005 წლის 1-ელ აპრილს, დაახლოებით შუადღის 1:15 წუთზე, ამ უკანასკნელმა საავადმყოფომ, უარი თქვა ბავშის მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ადგილი არ იყო. დაახლოებით, შუადღის 2 საათისთვის, ბავშვი გადაიყვანეს მედიკო-ქირურგიისა და მეანობის ცენტრში, სადაც მორიგე ექიმის განცხადებით არ იყო თავისუფალი ინკუბატორები და მშობლებს შესთავაზეს ბავშვი ისევ სახელმწიფო საავადმყოფოში წაეყვანათ. დაბრუნებისთანავე, სახელმწიფო საავადმყოფოს ექიმებმა ხელმეორედ თქვეს უარი ბავშვის მიღებაზე ახალშობილთა განყოფილებაში ადგილის უქონლობის გამო. ამის შემდეგ, ბავშვი გარდაიცვალა სასწრაფო დახმარების მანქანაში.

2005 წლის 6 აპრილს, ბავშვის მშობლებმა სისხლის სამართლის სარჩელი აღძრეს, რის ფარგლებშიც დაიწყო ორი გამოძიება. სისხლის სამართლის გამოძიება სამედიცინო პერსონალის წინააღმდეგ შეწყდა და ადმინისტრაციული გამოძიება რომელიც დაიწყო ჯანდაცვის მინისტრმა - დაიხურა იმ მიზეზით, რომ არ არსებობდა პასუხისგებაში მიცემის საფუძველი, რადგან თანამშრომლებს არ ჩაუდენიათ რაიმე დანაშაული.

სამართალი:

მუხლი 2

სახელმწიფო საავადმყოფოს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა მომჩივნის ახალშობილი შვილის გარდაცვალების საფრთხის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მას სხვა საავადმყოფო უარს ეტყოდა მიღებაზე. არც ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის

სერიოზულობა და არც სასწრაფო სამედიცინო მკურნალობის საჭიროება არ ყოფილა სადავო. არსებული რისკის მიუხედავად მანამ, სანამ ბავშვის გადაყვანა გადაწყდებოდა, საავადმყოფოს თანამშრომლებს არ მიუღიათ საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი აუცილებლად მიიღებდა შესაბამის მკურნალობას სხვა საავადმყოფოში. საავადმყოფოებს შორის კომუნიკაცია არ არსებობდა, ხოლო სხვადასხვა განყოფილებებმა უარი თქვეს ბავშვის მიღებაზე არასაკმარისი რესურსების გამო.

საავადმყოფოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და ის ფაქტი, რომ არცერთმა ექიმმა არ აიღო ახალშობილ ბავშვზე პასუხისმგებობა, არ შეიძლება გამართლებული იყოს უბრალოდ სივრცის არარსებობით. რეგიონის საავადმყოფოებში არსებული სამედიცინო საშუალებების რაოდენობა და მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ სახელმწიფომ შესაბამისად არ უზრუნველყო სახელმწიფო საავადმყოფოს მომსახურების შესაბამისი ორგანიზება და ფუნქციონირება, ან უფრო ფართოდ რომ ვთქვათ - ჯანდაცვის სისტემა. ასევე, საავადმყოფოებში ადგილის ნაკლებობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ პაციენტთა გაუთვალისწინებელი რაოდენობის შემოდინებით.

არსებული ხარვეზების გამო, ნაადრევათ დაბადებულ ბავშვს, რომლის სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ იყო, უმიზნოდ გადაადგილებდნენ სასწრაფო დახმარების მანქანით, იმ იმედით, რომ იგი მიიღებდა შესაბამის მკურნალობას. სწორედ ამ პირობების გამო იგი საბოლოოდ სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა.

შესაბამისად, მომჩივნის შვილი არის საავადმყოფოს არასათანადო მომსახურების მსხვერპლი, რადგან მას ჩამოერთვა შესაბამის გადაუდებელ მკურნალობაზე წვდომის უფლება. ბავშვი მხოლოდ იმიტომ გარდაიცვალა, რომ მას მკურნალობა საერთოდ არ შესთავაზეს. ასეთი ვითარება წარმოადგენს სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარს, რაც საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლეს.

ის ფაქტი, რომ სადავო საავადმყოფოს თანამშრომლებს არც ბრალი დაეკისრათ და არც სამართალწარმოება დასრულებულა მათ საქმეზე, წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას. ამ საკითხთან ერთად, მნიშვნელოვანია შეფასდეს სახელმწიფოს რეაგირება ეროვნული სასამართლოს დონეზე, ჯანდაცვის მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ ბრალდებებთან მიმართებით.

ლეგიტიმური მოლოდინი არსებობდა იმისა, რომ სადავო ეროვნული ხელისუფლების ორგანოები გამოიკვლევდნენ არსებულ საქმეზე დადგენილი ხარვეზები ექცეოდნენ თუ არა (და რა დოზით) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების მიზნებსა და საავადმყოფოს შიდაგანაწესში. ასევე არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი დააკისრებდნენ პასუხისმგებლობას შესაბამის პირებს. მიუხედავად ამისა, არ ყოფილა იმის მცდელობა, რომ გამორკვეულიყო თუ რამდენად დაცული იყო ახალშობილი ბავშვის

სასწრაფო დახმარების განყოფილებაში მიღების წესები ან მათ შორის კოორდინაცია. არც ის ყოფილა გამორკვეული, თუ რატომ იყო ძირითადი სამედიცინო საშუალებების ნაკლებობა საავადმყოფოებში და კერძოდ, თუ რატომ იყო ინკუბატორების გარკვეული რაოდენობა გაფუჭებული. შესაბამისად, ამ ტრაგედიაზე სასამართლო სისტემის რეაგირება არ იყო შესაბამისი იმისათვის, რომ დადგენილიყო ბავშვის გარდაცვალების ზუსტი მიზეზები. კერძოდ, გამოძიება არ დასრულებულა, არ გამოძიებულა არცერთი ზემოაღნიშნული გადამწყვეტი ფაქტორი, რომლებიც დაკავშირებულია ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტის ხარვეზებთან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რომლითაც ბავშვს ჩამოერთვა აუცილებელი სასწრაფო დახმარების შესაძლებლობა ასევე, შიდა გამოძიებების არაადეკვატურობა და უკმარისობა, წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას მომჩივნის შვილთან მიმართებაში.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 41:

მომჩივანი ითხოვდა 100.000 ევროს მორალური ზიანისთვის, თუმცა არ მოუთხოვია მატერიალური ზიანის ან ხარჯების და დანახარჯების ანაზღაურება.

მთავრობამ, მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია და სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, რომ არ დაეკმაყოფილებინა სარჩელი.

მიუკერძოებულ საფუძვლებზე დაყრდნობით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს უნდა მიენიჭოს 65.000 ევრო მორალური ზიანისთვის, რომელიც მიადგა კონვენციის დარღვევის შედეგად.